

# თავისუფალი საქართველო

N42  
26 ნოემბერი -  
2 დეკემბერი  
1996 წელი  
ფასი 50 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

სოსტაბჭოთა რესპუბლიკებში აღ-  
მოცენებულ პრეზიდენტთა დიდ ნაწილს  
საბჭოთა სისტემიდან, შინაგან სიწითელსთან  
ერთად, მემკვიდრეობით გადმოჰყვა საზო-  
გადოებასთან უღტიმატუბით ლაპარაკის  
მანერა და ცკ-ს მდივებისეული დამოკი-  
დებულება კანონის, ერისა და საკუთარი  
ქვეყნის მიმართ. თუ დღეს ამგვარი ხელი-  
სუფლებების სიმბოლოდ ბელორუსიის პრეზი-  
დენტი ლუკაშენკო იქცა (მოუხედავად იმისა,  
რომ არც ზოგიერთი მისი კოლეგა გამოირჩევა  
კორექტულობით, გონიერებითა და ინტე-  
ლექტით), ეს იმიტომ, რომ მას სხვებზე "რაცი-  
ონალური გონება" აღმოაჩნდა და დაშლილ-  
დანაკუწებული ბელორუსიის ნაცვლად, მთე-  
ლი ქვეყანა უვნებელი, სად-სალამათი გადასცა  
მფლობელობაში რუსეთს, რითაც სათავე  
დაუდო დს-ს მჭიდრო ინტეგრაციას. ამის

ლუკაშენკოს გადაწყვეტილებას 24 ნოემ-  
ბერს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ,  
პარლამენტიცა და მოსახლეობაც ერთსუ-  
ლოვანი აღშფოთებით შეხვდა. პარლამენტი  
პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოითხოვა და საქმე  
განსახილველად კონსტიტუციურ სასამა-  
რთლოს გადასცა. 17 ნოემბერს, დილიდან, 15  
ათასამდე მომიტინგე გამოხატავდა პროტესტს  
დიქტატორი პრეზიდენტის მიმართ. პარლა-  
მენტის შენობასთან მათ ომონმა და პოლიციამ  
გადაუკეტა გზა. მანიფესტაცია სასტიკად იქნა  
დარბეული. მდელვარებამ ბელორუსიაში  
თითქმის მთელ კვირას გასტანა. 18 ნოემბერს  
თანამდებობიდან გადადგა ქვეყნის პრეზიერ-  
მინისტრი - მ. ჩიგირი. მიუხედავად ლუკაშენკოს  
მიერ რეფერენდუმის გაუქმებაზე უარის თქმა.  
ბელორუსიის პარლამენტი მხარი დაუჭი-  
რეს 19 ნოემბერს პარიზში გამართული ჩრდი-

## საქართველოს კონსტიტუციით დაბანოებულია კალაღობა

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა ზარ-  
ზემით იქნა მიღებული საქართველოს ახალი  
კონსტიტუცია. ისიც გვახსოვს, თუ რა აუთო-  
რტაჟი უძღოდა მას წინ. გვარწმუნებდნენ, რომ  
კონსტიტუცია, რომელიც უცხოელ ექსპერტთა  
უშუალო მონაწილეობით იქნა შექმნილი,  
მთლიანად აკმაყოფილებს საერთაშორისო  
სტანდარტებს, სრულად შეესაბამება ყველა იმ  
საერთაშორისო დოკუმენტსა თუ ნორმატიულ  
აქტს, რომელზეც ხელი აქვს მოწერილი  
საქართველოს.

ბერს საქართველო შეუერთდა გაეროს მიერ მი-  
ღებულ კონვენციას "წამებათა და სხვა სახის  
სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემ-  
ლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმ-  
დეგ". ამასთან, საქართველო აღიარებს საერ-  
თაშორისო სამართლის ნორმების პრიმატს,  
ანუ უპირატესობას და ივალდებულებს საკუ-  
თარი კანონმდებლობის მოყვანას საერთაშო-  
რისოსთან შესაბამისობაში. ზემოაღნიშნული  
კონვენციის 2-ე მუხლში კი შავით თეთრზე  
წერია:

სწორედ აქედან გამომდინარე, გვინდა  
გავამახვილოთ ყურადღება ერთ უადრესად  
ნიშანდობლივ მომენტზე, რომელიც არის  
საქართველოს კონსტიტუციაში. 17-ე მუხლის  
2-ე პუნქტში ვკითხულობთ:

"გერანაირი გამოწვევისი გარემოებანი,  
იქნება ეს ომის მდგომარეობა თუ ომის საფრ-  
თხე, შინაგანი პოლიტიკური არასტაბილუ-  
რობა, ანდა ნებისმიერი სხვა საგანგებო  
მდგომარეობა, ვერ გამოადგება წამების გამოყე-  
ნების გამართლებად".

დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმა-  
ნური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემ-  
ლახველი მოპყრობა და სასჯელის გა-მო-  
ყენება".

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინა-  
რეობს, რომ: ა) საქართველოს კონსტიტუცია  
აკანონებს ძალადობას;

...და იქვე, 18-ე მუხლის 4-ე პუნქტში,  
როგორც ამავე აზრის გაგრძელება:

ბ) საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ  
ეწინააღმდეგება გაეროს კონვენციას "წამე-  
ბათა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური  
ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და  
სასჯელის წინააღმდეგ".

ახლა კი თვალს გადავავლოთ ამავე კონს-  
ტიტუციის 46-ე მუხლის პირველ პუნქტს,  
სადაც წერია:

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ამგვარი  
კონსტიტუციური ლაფსუსი სკანდალის თუ  
არა, საყოველთაო მსჯელობის საგანი მაინც  
გახდებოდა. საქართველოში კი ყველა დღემს.  
როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საქართ-  
ველოს კონსტიტუციის შემუშავებაში აქტიუ-  
რად მონაწილეობდნენ მდიდარი გამოცდი-  
ლების მქონე უცხოელი ექსპერტებიც. ამ-  
დენად, ალბათობა იმისა, რომ საქმე ოდენ მე-  
ქანიკურ შეცდომასთან გვაქვს, ერთობ მცირეა.  
ასეა თუ ისე, ჩვენ აუცილებლად დავინ-  
ტერესდებით კომპეტენტურ პირთა განმარ-  
ტებით ამის თაობაზე.

## კომუნისტები ნებით არასდროს თმობენ კალაუფლებას

...და ამაში მათ ტრადიციულად რუსეთი ეხმარება

შემდეგ გაჩნდა სწორედ ახალი ტერმინები:  
"ბელორუსული მოდელი", "ინტეგრაცია ბელო-  
რუსიის მოდელის საფუძველზე". ხოლო იმ  
რესპუბლიკებისთვის, რომელთა პრეზიდენტე-  
ბსაც წარსულში კოლმეურნეობის თავმჯდო-  
მარეუე მაღალი თანამდებობა ეჭირა მკვიდ-  
რდება ტერმინი - "ბელორუსიაზე უფრო მჭიდ-  
რო ინტეგრაცია", რაც თავის მხრივ, სახელმ-  
წიფოებრიობის მოსპობით ემუქრება პოსტ-  
საბჭოთა რესპუბლიკებს.

ლოატლანტიკური ასამბლეის წევრებმა. ასამ-  
ბლეის პრეზიდენტმა, კ. ვოიტმა, ლუკაშენკოს  
ქმედება "არადემოკრატიულად, არანორმა-  
ლურად" მონათლა. ბელორუსიაში შექმნილმა  
სიტუაციამ ბევრს 1993 წლის მოვლენათა  
ასოციაცია აღუძრა. "მიზბაძავს გორბაჩოვს  
ლუკაშენკო და გადადგება იმპიჩმენტის დამ-  
ტიციების შემთხვევაში?" - ეს კითხვა ამ  
დღეებში ფრიად აქტუალური გახდა. 22 ნოემ-  
ბერს კი მხარეებმა ხელი მოაწერეს დოკუ-  
მენტს, რომელიც კომპრომისულ დებულებებს  
შეიცავდა - ლუკაშენკომ დააკმაყოფილა  
პარლამენტის მოთხოვნა და 24 ნოემბრის  
რეფერენდუმს აღარ ექნება კანონის ძალა.

ჩვენთან მიმართებაში ეს შექმნილი უკვე  
კარგა ხანია მოქმედებს. უბრალოდ, ბელო-  
რუსიაში უფრო ადრე "მომწიფდა" საამისოდ  
სიტუაცია და ლუკაშენკომ "დაასწრო" ქართუ-  
ელ მართებებს. მართალია, საქართველოს  
ხელისუფალთ ჯერჯერობით არ სურთ ამგვარ  
პერსპექტივაზე ლაპარაკი, მაგრამ საქარ-  
თველოს რუსეთთან ინტეგრაციის შესაძ-  
ლებლობაზე (და თანაც უფრო მჭიდროზე)  
სწორედ რუსეთიდან მოდის ხმები.

თავისუფალი საქართველო და 24 ნოემბრის  
რეფერენდუმს აღარ ექნება კანონის ძალა.  
თავის მხრივ, პარლამენტის დეპუტატებმა  
მოსხნეს იმპიჩმენტის მოთხოვნა. აღსანი-  
შნავია, რომ ამ შეთანხმების მიღწევაში  
უმთავრესი როლი რუსეთმა შეასრულა. ბელო-  
რუსიაში ჩავიდნენ ვ. ჩერნომირდინი, ე. სტრო-  
ვეი და გ. სელენიოვი. ჩერნომირდინმა ლუკა-  
შენკოს მოთვინიერება ითავა, ხოლო სელე-  
ნიოვი და სტროვეი ოპოზიციას შეხვდნენ.  
როგორც ჩანს, რუსეთის ურთიერთდაპირის-  
პირებული საკანონმდებლო და აღმსრულე-  
ბელი ორგანოები ერთსულოვანნი არიან მე-  
ზობელი ქვეყნებისადმი პოლიტიკის გამო-  
მუშავებაში და ერთნაირად არ სურთ უარის  
თქმა იმპერიულ მისწრაფებებზე.

ჩვენი მდგომარეობა ამ ფონზე, ბელო-  
რუსიაზე გაცილებით უარესია - თუ ბელორუ-  
სიაში არსებული უკანონობის, ადამიანის  
უფლებათა დარღვევის, განუითხაობის და  
პრეზიდენტის არაადეკვატური ქმედებების  
შეფასებაში თითქმის ერთსულოვანია მსოფ-  
ლით, ჩვენს მიმართ ეს აზრი ჯერ საყოველ-  
თაოდ ჩამოყალიბებული არაა. ამას, ბევრ სხვა  
ფაქტორთან ერთად, ჩვენი ქვეყნის მმართვე-  
ლის დიპლომატიური იმიჯი, უწყინარი  
პედაგოგიური წარსული და "მაგიური დიმი-  
ლიც" განაპირობებს. ამიტომ მათი კოლმე-  
ურნეობის თავმჯდომარე, ჩვენი ცკ-ს მდივ-  
ნისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, დასაუ-  
ვლეთს კომუნიზმის უსიამოვნო ასოციაციებს  
აღუძრავს. გარდა ამისა, ბელორუსიაში ეროვნ-  
ული მოძრაობა ახლა იმ ეტაპზეა, რომელიც  
საქართველომ კარგა ხანია გაიარა. ჩვენთან,  
საუბედუროდ, უკვე დადმასვლა დაიწყო და  
ძნელი წარმოსადგენია, რომ საჭიროების  
შემთხვევაში, კიდევ მოხერხდეს საზოგადო-  
ების გაერთიანება მსგავსი პრობლემის ირგ-  
ვლივ.

თუმცა, ბოლო მონაცემებით ცნობილი  
გახდა, რომ პარლამენტმა არ მიიღო აღნიშ-  
ნული შეთანხმება და კვლავ აყუკის მოთ-  
ხოვნას ლუკაშენკოს გადადგომის შესახებ.  
ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება  
მოვლენები. ლუკაშენკომ რამდენიმე დღის წინ  
კომუნისტური უტიფრობით განაცხადა: "ხე-  
ლისუფლებას არ დავთმობ, მე ხალხმა ამირ-  
ჩია". პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების "პრე-  
ზიდენტები", ყოფილი კოლმეურნე იქნება,  
პედაგოგი, თუ მილიციელი, ძალაუფლების  
სიყვარულში გაჭრილი ვაშლებით ჰგვანან  
ერთმანეთს.

ნუგ ზარ წიკლაური



## საქართველოს საპრობლემატიკო წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა

1996 წლის 11-22 ნოემბერს გაეროს ვენევის განყოფილებაში გაიმართა წამების წინააღმდეგ  
კომიტეტის მე-17 სესია. 21 ნოემბრის სხდომაზე განხილული იყო საქართველოს მთავრობის  
პირველი მოხსენება სახელმწიფოს მიერ "წამებათა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან  
ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ" კონვენციით გათ-  
ვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ. სხდომას თავმჯდომარეობის  
კამერუნელი ალექსის დიანდა-მუელე. მომხსენებლები იყვნენ კანადელი თომას ბერნსი და  
კვიპროსელი გიორგის მ. პიკისი. საქართველოს დელეგაციას წარმოადგენდნენ ადამიანის  
უფლებათა დაცვისა და ეროვნებათა შორის ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ა.კავსაძე  
(ხელმძღვანელი), მისი მუუღლე - გ.კავსაძე და ვ.კორკელია.

სხდომაზე, საქართველოს ოფიციალური მოხსენების გარდა, წაკითხულ იქნა საერთაშორისო  
სამართალდამცავი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული დოკუმენტები,  
რომელშიც მეტწილად ობიექტურად იყო ასახული საქართველოში ადამიანთა წამებისა და  
დამცირების ფაქტები. დარბაზზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველი პოლიტიკოსების  
ზაზა წიკლაურის მიერ სესიისადმი გაგზავნილმა წერილმა, რომელიც კანადელმა მომ-  
ხსენებელმა თავიდან ბოლომდე წაკითხა. წერილში მოთხრობილი იყო იმ სისასტიკის შესახებ,  
რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს წინასწარი პატიმრობის პერიოდში.  
კომიტეტმა სესიაზე შეიმუშავა დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც, გაეროს  
ოფიციალური დოკუმენტების სტანდარტების გათვალისწინებით, საკმაოდ მკაცრი და  
კატეგორიულია.

დოკუმენტის ტექსტს გთავაზობთ მე\_6 გვერდზე.



# შეპარდნაჲს გულმოდგინება

ცოტა ხნის წინ, სააგენტო "ბი-ჯი-აი-ს" ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაზეთებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით პატიმრობიდან გათავისუფლდა ხობის ყოფილი გამგებელი მერაბ გერგაია, რომელსაც 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯული. ხობის ადმინისტრაციის ყოფილ მეთაურს ბრალად ედოზოდა იარაღის უკანონოდ ტარება. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების შესახებ იმით არის მოტივირებული, რომ გერგაია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა, ამჟამად კი მიიმდებარის დაავადებულს.

ეს ის მერაბ გერგაიაა, რომლის გამგებლობის პერიოდში ხობში მოკლეს ექიმი ეზოპე სიჭინავა, უსასტიკესი წამებით სული ამოხადეს მხატვარ ვახტანგ ნოდიას. ხობელების თქმით, გერგაიას უშუალო მონაწილეობით აწამეს თენგიზ ბულია (მეტსახელად კიროსი), რომელსაც რკინის ჩხირები გაუყარეს წვივებიდან, სხეულიდან აატრეს ხორცი და მარცხენა დასარტყეს კიდევ 1992 წელს მისი პირადი მითითებით ამოთხარეს საფლავიდან მოკლული პრეფექტის, ქაჯაიას ცხედარი და ცინიკურად შეურაცხველეს ნეშტი. საერთოდ, 1993 წლის შემოდგომაზე ხობში გამოჩენილი იყო ისეთივე განსაკუთ-

რებული სისასტიკე, როგორც ადრე წალენჯიხაში. ეს გამოიხატებოდა არამარტო მკვლელობებში, არამედ ცხედრების შეურაცხყოფაში. მაგალითად, კანონიერი ერთგული გვარდიის დახოცილი წევრები გადაყარეს მდინარე ხობისწყლის ნაპირას ლაფში. ალბათ, ეს მხეცობები ეთვლება გერგაიას განსაკუთრებულ დამსახურებად, თორემ გამგებლის მსხვერპლის, თენგიზ ბულიას მონაწილეობას აფხაზეთის ომში, რაც მრავალჯერ იქნა დადასტურებული მიმდინარე სასამართლო პროცესებზე მოწმეთა ოფიციალურ ჩვენებებში, მის თანამებრძოლთათვის (გურგენ მაღალია, გაბრიელ ბენდელიანი, კარლო ჯიჭონია და მურთაზ გულუა - მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 13-დან 15 წლამდე მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ბრალდებულთა უმრავლესობა ხელახალ მიებაში დააბრუნა) ბრალდება არ შეუმსუბუქებია. თენგიზ ბულიას მკვლელობის ფაქტზე, ისევე, როგორც ვახტანგ ნოდიასა და ეზოპე სიჭინავას მკვლელობებზე, გამოძიება კი არ მიმდინარეობს.

რაც შეეხება შეწყველების საფუძვლად "მიმდებარეობის" მოწვევები, ეს მოტივი საგანგებო ცინიზმად უნდა იქნას აღიქვას, რომ ათეულობით სრულიად უდანაშაულო პოლიტპატიმრის სიცოცხლე სერიოზულ საფრთხეშია წამების, ტურბოკულუზის, თუ ციხის აუტანელი პირობების წყალობით, როგორც ჩანს,

სხვადასხვა პატიმრის სიცოცხლე სხვადასხვა ფასი აქვს ერის წინამძღოლისთვის.

რამდენი ხნის წინ შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ თუ სასამართლო ჯაბა იოსელიანს საჯარო სჯილს უმადლეს ზომას გამოუტანს, მაშინ იგი თავის უფლებებს გამოიყენებს. იგულისხმებოდა შეწყველება და გასაკვირიც არ იყო, რომ თავის მარჯვენა ხელს, ძველ მეგობარს არ გაწირავდა, მაგრამ თუ გერგაიას დონის ჯალათებზეც გაგრძელდებოდა პრეზიდენტის გულმოდგინება, ამას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა.

თავად ხობის ყოფილი გამგებელი, ჩანს, კარგად იცოდა თავისი პრივილეგიებული მდგომარეობის შესახებ. იგი გამოიყენებდა იქცეოდა სასამართლო სხდომაზე. აქვეყნებდა შურნაღის სიტყვებს დარბაზიდან და, საერთოდ, თვითონ წარმართავდა სასამართლო სხდომებს, როგორც ჩანს, ჩვენმა ფანტაზიამ სათანადოდ ვერ შეაფასა გერგაიასა და მისთანათა "დღაწლი" სამშობლოსა და დემოკრატიის წინაშე და ვერ გაითვალისწინა, თუ როდენ მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ფაქტობრივი ხელისუფლების ემულინები მხედრობის უმდაბლეს სტრუქტურებთან.

ალბათ, 5 წელი (პატიმრობის მაქსიმალური ვადა), რომელიც ხელისუფლებამ დააკანონა მხედრობისთვის, რეალური მხოლოდ წერილმანი ქურდებისა და განსაკუთრებით უიღბლო "ბიჭებისთვის" აღჩნება, ისეთებისთვის, ვისაც მხოლოდ ქათმების, ღვინის, თუ პურის ფეჭელის მოპარვაში ადანაშაულებდა მოსახლეობა.

ს. გურამიშვილი

## საქართველოს რესპუბლიკის დღიური უზენაესი საბჭოს წევრთა ბანცხალება

უკანასკნელ ხანს, საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების სტრუქტურებში, აგრეთვე პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების მხრიდან გაისმის საკმაოდ თამამი განცხადებები რუსეთის იმპერიული პოლიტიკისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე ამა თუ იმ სტატუსით განლაგების წინააღმდეგ.

ფაქტობრივი ხელისუფლების პარლამენტის მიმდინარე წლის 2

# არ აყვით ფსევდოპატრიოტული ისტერიას

ოქტომბრის სხდომაზე მიღებულმა დადგენილებამ კიდევ ერთხელ გააცხადა, რომ მათ არ შეუძლიათ და არც სურთ ეროვნული პოლიტიკის გატარება.

უმიძივეს კრიზისში მყოფმა საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ წამოიწყო ფსევდოპატრიოტული კამპანია, რომელიც, ჩვენის აზრით, მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, საქართველოს მოსახლეობის, კერძოდ, აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველების კიდევ ერთხელ მოტყუებას, მეორეს მხრივ, პოლიტიკური ვითარების დაძაბვას, რაც, პოლიციური რეჟიმის პირობებში, ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები ვაცხადებთ:

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, მისი დეოკუპაციის საფუძველს, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებისა და 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან ერთად, წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 17 სექტემბრის დადგენილება საქართველოში განლაგებული სსრკ-ს ჯარების სტატუსის შესახებ. რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყოფილი სსრკ-ის, ქაჯაიას რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს მიეკუთვნება საოკუპაციო ჯარის სტატუსი; აგრეთვე, 1994 წლის 31 მარტს ქ. გროზნოში ჩატარებულ უზენაესი საბჭოს სხდომაზე მიღებული დადგენილება - საქართველოს დსთ-ში შეყვანის თაობაზე საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ყველა ზემოხსენებული გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის მიერ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე გამოხატული ნების სამართლებრივ გაფორმებას და კანონიერია, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არჩეული იქნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ, კონსტიტუციური ნორმებისა და საერთაშორისო სამართლის დაცვით და დამოხილვი იქნა ზუნტის მიერ, უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით.

ჩვენ შევასვენებთ როგორც ფაქტობრივი ხელისუფლების მესვეურთ, ისე პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ბლოკებს, რომელნიც აყოლილნი არიან ფსევდოპატრიოტულ ისტერიას, რომ უზენაესი საბჭოს დამხობის მისი წევრებისა და მათ მხარდამჭერთა დევნა-დაპატიმრების, ფიზიკური განადგურების მიზეზი იყო და არის ეროვნული ხელისუფლების მიერ ანტიიმპერიული პოლიტიკის თანამიმდევრულად გატარება. სწორედ ამიტომ არის ადრული დევნილი უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატზე სისხლის სამართლის საქმე სამშობლოს დაცვის ბრალდებით, ამიტომ არის დეპუტატთა ერთი ნაწილი (ვიქტორ დომუხოვსკი, ზაურ ქობალია, ვალტერ შურდაია) "ზონებში" გამოიყვანებული, სხვანი კი სამშობლოდან განდევნილნი; ამიტომ აქვთ გამოტანილი სასჯელის უმაღლესი ზომა პეტრე გელბახიანს, ირაკლი დოკაძესა და ბადრი ზარანდიას; ამიტომ მოითხოვთ პროკურორმა ჯამბულ ბოკუჩავას, ვახტანგ (ლოთი) ქობალიასა და ზვიად ძიძიგურის სიკვდილით დასჯა, ხოლო ნუგზარ მოლოდინაშვილისთვის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მათ, ვისაც გულწრფელად სურს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქვეყნის დეოკუპაცია, ეძლევათ შესაძლებლობა, აღიარონ საქართველოს უზენაესი საბჭოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებების კანონიერება და მომავალშიც იხელმძღვანელონ ამ პრინციპით.

ეს იქნება 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების ობიექტური შეფასებისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯი, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია ეროვნული ცნობიერების გამოთქმის, გათვლილი ეროვნული ღირსებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის.

17 ნოემბერი, 1996 წელი

# საქართველოში არ არსებობს სასამართლო

22 ნოემბერს, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში, საქართველოს პელსინიკის კავშირმა ჩაატარა პრეს-კონფერენცია, რომელზეც საუბარი შეეხო 19 ნოემბერს პოლიტპატიმრების მიმართ გამოტანილ განაჩენს და აფხაზეთში დანიშნულ არჩევნებს. კავშირის აფხაზეთის რეგიონული განყოფილების თავმჯდომარემ, ავთანდილ დავითიამ აღნიშნა, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დანიშნულ არჩევნებს წინ უდგოდა სეპარატისტული იდეების ინტენსიური კონსულტაციები შევარდნაძესა

და მისი რეჟიმის წარმომადგენლებთან. თავად ის ფაქტი, რომ თბილისში იმყოფებოდა და შევარდნაძეს შეხვდა კონსტანტინე ოზბანი - სეპარატისტთა ყველაზე ანტიქართული ფრთის, გუდაუთის კლანის ლიდერი - და ამის შესახებ საზოგადოებამ შემთხვევით შეიტყო რამდენიმე დღის შემდეგ, წარმოადგენს ქართველი ხალხის შეურაცხყოფას.

## აფხაზეთში დანიშნული არჩევნები უმთავრესია თბილისთან

ეს აზრი აშკარად გამოიკვეთებოდა 23 ნოემბერს "დღეიანის" ძველთან გამართულ მიტინგზე, რომლის ინიციატორები იყვნენ საქართველოს პელსინიკის კავშირი, ერთგული ფრონტი-რადიკალური კავშირი, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, საქართველოს კონსერვატიული ლიგა, ნაციონალურ-კონსერვატიული პარტია და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები.

მიტინგის მონაწილენი აფხაზეთის გარეშე შექმნილ დღევანდელ ვითარებას მიიჩნევენ საქართველოს ხელისუფლების კაპიტულანტური პოლიტიკის ლოგიკურ შედეგად და აღნიშნავენ, რომ თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმები შეთანხმებულად მოქმედებენ რუსეთის კარნახით.

გამომსვლელებმა ისაუბრეს კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა ძალებში არსებულ გათიშულობაზე, რაც, სხვა სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან ერთად, მიიმდებარება საზოგადოების დიდ ნაწილზე, უკარგავს მას უკეთესი მომავლის იმედს.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს პელსინიკის კავშირის სახელით - ავთანდილ დავითიამ, ანა ჭავჭავაძემ, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდენტი ვახტანგ ბოჭორიშვილი, უზენაესი საბჭოს წევრი გურამ მაქაცარია, პოეტი ნოდარ ჯალაღონია, აგრეთვე დამსწრე პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები - ვია მამალაძე, ლია ენუქიძე და სხვანი.

პოლიციელთა და სუს-ის თანამშრომელთა სიმრავლის მიუხედავად (მათ ოკუპირებული ქონდათ ბაღის მიმდებარე ტერიტორია და ქუჩები), მიტინგმა ექსცესების გარეშე ჩაიარა და აქციის მონაწილენი მშვიდად დაიშალნენ. "დღეს გიორგობაა და, ალბათ, ამიტომ იყვნენ ასეთი ლმობიერნი". - გაისმოდა აქა-იქ.

"ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებამ მიერ ვითომდა ამ უკანონო არჩევნების საპირისპიროდ დანიშნული პლენისციტი, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას, ფიქცია. მას არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს და, ამდენად, უაზრობაა ან დაგვმით იგი, ან მხარი დაუჭიროთ. ამით ფაქტობრივი ხელისუფლება დემონსტრირებას ახდენს, თითქოს რაღაც ზომებს იღებს სეპარატისტთა საწინააღმდეგოდ". - განაცხადა ავთანდილ დავითიამ.

პოლიტპატიმრების მიმართ გამოტანილი განაჩენის თაობაზე, კავშირის პოლიტსაბჭოსა და IGFმ-ის წევრმა, ლია ბერუაშვილმა აღნიშნა, რომ ეს განაჩენი მიღებულია საპროცესო კოდექსისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით, უსამართლოა და მას არ შეიძლება ჰქონდეს კანონიერი ძალა. სასამართლომ ვერ დაამტკიცა პოლიტპატიმართა ბრალეულობა, უგულვებელყო პროცესზე გამოვლენილი ფაქტები, ბრალდების მოწმეთა ჩვენებების არადაზვერებლობა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ვახტანგ ქობალიას.

"ესა ჩვეული ანგარიშსწორება. არ შეიძლება საზოგადოება დაამშვიდოს ზოგიერთი მაღალჩინოსანის განცხადებამ, რომ სასიკვდილო განაჩენების აღსრულება უკვე ორი წელია არ ხდება. საერთაშორისო ორგანიზაციებმა მონაცემები სხვაზე შეტყუებულს. სიკვდილით დასჯის გაუქმება კი ამ ხელისუფლების და პირადად შევარდნაძის ინტერესებში უნდა შედიოდეს, ვინაიდან ოდესმე ამ საქმეში წარდგენილ ბრალდებულთა დიდ ნაწილზე მას მოუწევს პასუხისმგებლობა და იგი უთუოდ სამართლიანად დაიმსახურებს სასჯელის უმაღლეს ზომას". - განაცხადა პელსინიკის კავშირის გამგეობის წევრმა, ანა ჭავჭავაძემ.

პრესკონფერენციაში მონაწილეობენ ვახტანგ ქობალიას საზოგადოებრივი დამცველი თამარ ლომიშვილი და ნუგზარ მოლოდინაშვილის ადვოკატი გვიგორგი მორჩილაძე, რომელმაც განუცხადა უურნალისიტებს: "ცხადია, საქართველოში არც დაცვა არსებობს და არც სასამართლო და როდის იარსებებს, ძნელი სათქმელია. მე, ალბათ, ამას ვერ მოვესწრებო".



# მოქმედებს თუ არა მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მმართველობის უმაღლესი პირები, ძალადგანი სტრუქტურების ხელმძღვანელები არწმუნებენ საზოგადოებას, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, მოქმედებს მორატორიუმი სიკვდილით დასჯის აღსრულებაზე. პირველმა ეს აზრი გამოთქვა საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, კახა ჩიტიაამ. მისმა კომენტარმა გაიქცა უშუალოდ 7 ოქტომბრის შემდეგ, ანუ როდესაც პროკურორებმა მოითხოვეს ვახტანგ ქობალიას, ზვიად ძიძიგურისა და ჯამბულ ბოკუჩავას დახვეწა და ერთგვარად დამამშვიდებლად იმოქმედა საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე.

ამის შემდეგ იგივე განაცხადა შსს მინისტრმა კახა თარგამაძემ, ხოლო მის კვლავად, ტრადიციულ რადიოინტერვიუში, 18 ნოემბერს, ანუ ქობალიას მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის წინადადებას, ედუარდ შევარდნაძემ გამეორა ნაცნობი ფრაზა - თითქოს საქართველოში არავინ დახვეწილია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე.

დაბოლოს, 20 ნოემბერს რესპუბლიკის პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე და 22

ნოემბერს რადიო "ამერიკის ხმისთვის" მიცემულ ინტერვიუში, გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი კვლავ მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს - მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე, ფაქტობრივად, მოქმედებს.

ამავე დროს, პარლამენტი არ ჩქარობს მორატორიუმის რეალურად მიღებას და ამ, როგორც გვარწმუნებენ, ფაქტობრივად მოქმედი ნორმის იურიდიულ გაფორმებას. როგორც ცნობილია, ოქტომბრის ბოლოსთვის განსაზღვრული იყო ამ საკითხის განხილვა პარლამენტის მიერ, მაგრამ ტრადიციული მოტივით (პროექტი არაა მომზადებული), საკითხი ამოდებული იქნა დღის წესრიგიდან.

იქმნება უცნაური, შეიძლება ითქვას, უნიკალური ვითარება, როდესაც ქვეყნულად სრულდება ის, რაც არ არსებობს კანონიერი ვადამდებლობით. რეალურად კი, ეს უწყებები და მათი უმაღლესი ხელისუფალი სინქრონულად ცრუობენ: 1995 წელს საქართველოში, სულ მცირე, 7 ადამიანი დაიხვეწიდა, ხოლო 1994 წელს - 14. ამასე მოწმობს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ხელთ არსებული მონაცემები - კერძოდ, "ემისიონი ინტერნეტ" - ის ანგარიშები საქარ-

თველოში ადამიანის უფლებათა დარღვევაზე, ასევე თავად საქართველოს ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებათა მიერ გავრცელებული ცნობები.

აღსანიშნავია, რომ არც საერთაშორისო ორგანიზაციებს, არც საქართველოს პრესას გააჩნია ოფიციალური მონაცემები 1996 წელს ამ მხრივ არსებული ვითარების შესახებ, თუმცა, ერთი წელიც არ გასულა, რაც პროგრამა "მაცნე"-მ აუწყა საზოგადოებას, რომ სისრულეში იქნა მოყვანილი სასიკვდილო განაჩენი 4 პირის მიმართ.

რაკი არ არსებობს სამართლებრივი გადაწყვეტილება სიკვდილით დასჯის აღსრულების შეჩერების შესახებ, არ არსებობს არც გარანტია იმისა, რომ დახვეწის შექმნილი დღესაც არ მოქმედებს, ან თუკი იგი შეჩერებულია, კვლავ არ ამოქმედდება. ამდენად, ერთადერთი, რაც დღესდღეობით წინ უდგას სიკვდილით დასჯის განხორციელებას, ესაა საზოგადოებრივი აზრი ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. მაშასადამე, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენ ხანს შეინარჩუნებს ერთუხიან საზოგადოება, რომელსაც ისედაც უამრავი საჭირობო პრობლემის წინაშე აყენებს არსებული რეჟიმი.

# მს განაჩენი პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ჰბამს

- თვლის ამერიკელი პოლიტოლოგი პოლ გობლი

22 ნოემბერს რადიო "ამერიკის ხმა"-მ გადმოცა ინტერვიუ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილესთან, ანზორ ბალუაშვილთან, რომელიც ძირითადად მიემდგვნა 19 ნოემბერს უხეიანის სასამართლოს მიერ ვახტანგ ქობალიას, ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავასა და ნუგზარ მოლოდინაშვილისთვის გამოტანილ განაჩენს. ბალუაშვილის თქმით:

"განცხადება იმის შესახებ, რომ ამ განაჩენმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, აშკარა დეზინფორმაციაა, ისევე, როგორც "ზოგიერთების მტკიცება, რომ ქობალია დაინაჯა, როგორც ამუშავებული ხელისუფლების (მათი სიტყვებით რომ ვთქვათ - რეჟიმის) პოლიტიკური მოწინააღმდეგე და რომ თითქოს ქობალია წარმოადგენს პოლიტიკურ პატიმარს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, როგორც მოქალაქე და როგორც თანამედრობის პირი - ეს განცხადება საზოგადოებისთვის თვა-

ლში ნაცრის შეყრა. ქობალია კონკრეტულად დაინაჯა დამამძიმებელ გარემოებებში განსაკუთრებული სისასტიკით, საჯაროდ ექვსი უდანაშაულო, უმწუ პირის დახვეწისთვის. აქედან ერთ-ერთი იყო ჟურნალისტი დ. ბოლქვაძე, რომელიც საჯაროდ და სახალხოდ ახვეწებდა ქობალიას უურნაღისტის მოწმობას. მასთან ერთად დახვეწილი იქნა 5 დატყვევებული გვარდიელი. ამასთანავე, გამოძიების პროცესში და სასამართლოს მიმდინარეობისას დადგინდა, რომ ქობალიას ახლობლები და გულშემატკივრები ავიწროებდნენ იმ მოწმეებს, რომლებმაც თავიანთი თვლით უყურეს ქობალიას მიერ იმ ნაკის დახვეწებას".

კორესპონდენტის კითხვაზე, იქნება თუ არა მოყვანილი სისრულეში სასიკვდილო განაჩენი, ანზორ ბალუაშვილმა უპასუხა:

"საქართველოში, პრაქტიკულად, მორატორიუმიამ გამოცხადებული

სასჯელის ამ დონისძიებაზე. ორი წლის განმავლობაში არც ერთი სასიკვდილო განაჩენი საქართველოში სისრულეში არ მოუყვანიათ. მიმდინარეობს ფართო დისკუსია სასჯელის სისტიმიდან ამ დონისძიების ამოღების და მის ნაცვლად სამუდამო პატიმრობის შემოღების შესახებ".

ამ ინტერვიუს კომენტარი გაუკეთა პოლიტოლოგისა და საერთაშორისო სამართლის დოქტორმა, საერთაშორისო ორგანიზაცია "ფრიდომ ჰაუს"-ის წარმომადგენელმა, პოლ გობლიმ. მისი აზრით, ეს სასამართლო პროცესი და გამოტანილი განაჩენი ძალზე ჰგავს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას და თუ სიკვდილით დასჯა ქობალიას მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი, ამით ქართულ საზოგადოებაში კვლავ გაიხსნება ამ უკანასკნელ წლებში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შედეგად მიყენებული ტრილომები.

თვეს ახსნა-განმარტებები. არ არის გამორიცხული, შსს-მ და პროკურატურამ საგანგებო ძიება ჩატაროს ამ ფაქტთან დაკავშირებით და მისთვის ჩვეული მეთოდებით აღარმოსი ჩოხების დაკითხვები. ამავე დროს, ვახტანგ ქობალიას დამ განაცხადა, რომ ის, განსაჯელს თვითონ მოსამართლე ააღადაშვილმა გადასცა.

# ლოთი ქობალია გადაიყვანეს სიკვდილით დასჯის საკანში

ლოთი ქობალია, განაჩენის გამოტანის შემდეგ, იმავე დამთავრების სიკვდილით დასჯის საკანში. იგი მოათავსეს ირაკლი დოკუაძესა და პეტრე გელახიანთან ერთად. როგორც ქობალია იტყობინება, იგი თავს კარგად გრძობს და არ კარგავს მხეობას.

# პოლიტპატიმართა ჩონხები დააკატიმრეს

როგორც ჩანს, განაჩენის დღეს პოლიტპატიმრების ჩონხებში გამოსვლამ დიდად ააღვიძრა მმართველი რეჟიმი, რომელიც აღარც ეროვნულ ტანსაცმელს დაგვიდევს და აღარც ეროვნული დროშის ღირსებას. განაჩენის გამოტანისთანავე, იზოლატორში მიყვანილ ზვიად ძიძიგურს, ვახტანგ ქობალიასა და ნუგზარ მოლოდინაშვილს ჩამოართვეს ჩონხები და... დაუპატიმრეს. მინაგან საქმეთა სამინისტრო კვილობს გარკვევით, როგორ

# კვირის ამბები

## რუსეთის ჯარის უკანასკნელი ნაწილები ტოვებენ ჩიჩნეთს

23 ნოემბერს, ვიქტორ ჩერნომირდინსა და ასლან მასხადოვს შორის გამართულ შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე, პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ჩიჩნეთიდან რუსეთის შინაგანი ჯარების უკანასკნელი ნაწილების გაყვანის თაობაზე. როგორც ცნობილია, ესენია 101-ე და 205-ე მოტომსროლელი ბრიგადები. ბრძანებულებამ მწვავე რეაქცია გამოიწვია რუსეთის დუმის რიგ, ფრაქციებში, რომლებიც დაუშვებლად მიიჩნევენ ჩიჩნეთის საკითხში დათმობას. კომუნისტები, ჟირინოვსკის ლიბერალ-დემოკრატები და "ნაროდოველასტიეს" დეპუტატები აცხადებენ, რომ ელცინის ამ ბრძანებულებით, ფაქტობრივად, იურიდიული საფუძველი შეექმნა ჩიჩნეთის დამოუკიდებლობას.

## რუსეთი არ ჩაერება ჩიჩნეთის საქმეებში

23 ნოემბერს შედგა შეხვედრა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინსა და ჩიჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას პრემიერ-მინისტრ ასლან მასხადოვს შორის. შეხვედრის დროს მხარეებმა მოილაპარაკეს არჩევნებამდე ჩიჩნეთსა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესახებ და ხელი მოაწერეს შეთანხმების ტექსტს, სადაც ჩამოყალიბებულია ამ ურთიერთობათა პრინციპები. კერძოდ, რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას არ ჩაერიოს ჩიჩნეთის საქმეებში და მისცეს მას საშუალება, დამოუკიდებლად გამართოს არჩევნები.

## აფხაზეთში პირველი დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარება იწყება

23 ნოემბერს აფხაზეთში არჩევნები მაინც ჩატარდა. აფხაზური წყაროების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტმა. საარჩევნო უბნები არ გახსნილა თურქეთსა და რუსეთში. სეპარატისტთა ოფიციალური წრეები ამას ფინანსური გაჭირვებით ხსნიდნენ, თუმც, თავის მხრივ, თბილისი აცხადებდა, რომ აფხაზები რუსეთისა და თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგობას წააწყდნენ.

როგორც ცნობილია, აფხაზეთი არჩევნებს დაესწრნენ საერთაშორისო დამკვირვებლებიც, კერძოდ, რუსეთის დუმის დეპუტატები დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი ტიხომიროვის ხელმძღვანელობით, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის ადამიანის უფლებათა დამცველი ერიკ ვესბერი და ექსპენატორი ამერიკიდან ჯონ ნიმროლი, რომელთა თქმით, არჩევნები დემოკრატიული ნორმების დაცვით ჩატარდა.

აფხაზეთის უხეიანის საბჭოს ქართული ნაწილის თავმჯდომარის, თამაზ ნადარეიშვილის თქმით, არჩევნების დღეს გალის რაიონი მთლიანად დატოვა იქაურმა მოსახლეობამ, რომელიც ენგურს გადმოდმა გადმოვიდა პლემისციტში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო კოდორის ხეობამ მთლიანად მიიღო მონაწილეობა პლემისციტში. მისივე თქმით, ტყვეარჩელის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონები, ფაქტობრივად, ცარიელი იყო.

ამავე დროს, გავრცელდა ცნობები გალის რაიონში მიმდინარე ლოკალური სროლების, აფეთქებებისა და თავდასხმების შესახებ. ამასთან, არც ნადარეიშვილი და არც ოფიციალური თბილისი პირდაპირ არ აცხადებენ ამ აქტებთან კავშირის თაობაზე, თუმცა, არც უარყოფენ და არ გამორიცხავენ ქართველ პარტიზანთა აქტიურობის ფაქტორს. საგულისხმოა, რომ ამ ტერაქტებისა და თავდასხმების ფაქტებს არც აფხაზური მხარე უარყოფს.

## "უღუბისციტის შედეგად დაამტკიცა ლტოლვილების პატრიოტიზმი"

23 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე თამაზ ნადარეიშვილმა გააცნო საზოგადოებას პლემისციტის წინააღმდეგ შედეგები. მისი თქმით, მხოლოდ რუსეთში იმ დღის 12 საათისთვის 25 ათასმა ლტოლვილმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო საკუთრივ მოსკოვში - 10.800-მა. ამასთან, გამოკითხვისთვის უბნები იყო შექმნილი საზღვარგარეთისა და დსთ-ს რიგ ქვეყნებში - თურქეთში, ისრაელში, უკრაინის ქალაქებში.

სახელმწიფო კანცელარიის უფროსმა, პეტრე მამრამამ, 24 ნოემბრის სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ პლემისციტში მონაწილეობა მიიღო 223 ათასზე მეტმა ლტოლვილმა, რაც მათი საერთო რაოდენობის 90 პროცენტზე მეტს შეადგენს. ხოლო აფხაზეთის სეპარატისტულ არჩევნებში, მხოლოდ 70 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მამრამის თქმით, ეს შედეგები საშუალებას მოგვცემს, კიდევ ერთხელ არგუმენტირებულად დავსვათ აფხაზეთის საკითხი საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, უახლოეს ხანებში ლისაბონში დაგეგმილ სამიტზე, სადაც მოხსენებით გამოვა ედუარდ შევარდნაძე. "აფხაზური არჩევნების კანონიერებას არ ცნობს მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა, ხოლო პლემისციტის შედეგები ადასტურებს, რომ ჩვენ მართლაც ვართ და გავიმარჯვებთ. ამ ხალხმა (მას მხედველობაში ჰყავდა ლტოლვილები) დაამტკიცა, რომ ისინი საქართველოსა და თავისი კუთხის ტყვემარტი პატრიოტები არიან." ყოველივე ეს მამრამამ მისთვის ჩვეული რუსული აქცენტითა და ენობრივი კალკების გამოყენებით წარმოთქვა.

# ერთი პროცესის მსატრეული რეპორტაჟი ღირიკული კომენტარებით

19 ნოემბერს უნენაესი სასამართლოს "დიდი დარბაზი" მილიციის, ჟურნალისტების და შენობაში რის ვაი ვაგლახით შემოსული მოქალაქეებით გაივსო. დასასრულს უახლოვდებოდა "ზევიდ გამსახურდიასა და მის მომხრეთა" სასამართლო პროცესი. სახელმწიფო ბრალდებლის მიერ სამი განსასჯელის მიმართ მოთხოვნილი სასიკვდილო განაჩენი იქ შეკრებილთა საფუძვლიან მდებარეობას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში ქართველი ერი ტოტალური უსამართლობის წინაშე აღდგა, მან მაინც შეინარჩუნა ის პროვოკაციული რიტუალი, რომელიც მას სასიკვდილო იმპულსს აძლევს. დარბაზში შეკრებილი ადამიანების ნათელი სახეები გამოხატავდა რწმენას, რომ ნებისმიერი განაჩენი, რომელსაც დადეს არსებული ხელისუფლება გამოუტანს პოლიტიკურებს მოსამართლის პირით, მხოლოდ და მხოლოდ ფიქციაა და ამაზე აღელვება არც კი ღირს. ერთ-ერთი განსასჯელის დედა სხდომის დაწყების წინ ხალხს აფრთხილებდა: "ჩვენ ნებისმიერ განაჩენს უსიტყვოდ უნდა შევხედეთ, რადგან ჩვენი შვილები, ძმები, ახლობლები საქართველოს თავისუფლებისთვის იხვრიტებიან." უნებლად ილიასკლი "ნანინას" თავგანწირული ლეიტმოტივი მოგაგონებოდა: "რად მინდა იგი შვილი, თუ ისთვის არ მოკვდება?"

სენსაციური მასალის მოსაპოვებლად მოსული ჟურნალისტი გადსადებდა მოემზადა. ერთ-ერთმა განსასჯელმა კიდევ იხუმრა "პოლიუდში მგონია თავი". მართლაც საოცარია "ბანდიტებისა და კრიმინალების" პროცესისადმი საქართველოს ორგანიზაციებისა და სააგენტოების ასეთი ცხოველი ინტერესი.

განსასჯელები დარბაზში სამფეროვანი ჩოხებით შემოიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ტანსაცმელი არც ისე გაუცხოვებელია ჩვენი ცნობიერებისა, განსასჯელთა სამოსად ჩოხა სხვაგვარად აღიქმებოდა, სხვა დატვირთვას იძენდა, როგორც ჭეშმარიტად ქართული, ვაჟაკური სულის ერთი მშვენიერი გამოხატულება. ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიტიკატიმრების დანახვა ისეთი ეფექტი მოახდინა დარბაზში, რომ განსასჯელები მალევე გაიყვანეს და ჩოხების გახდა მოსთხოვეს. განსასჯელთა და ადვინისტრაციის შორის გამართულ რია-რიას ლოთი ქობალიას ცნობილი ნაბადი შეეწირა.

პროკურატურამ ადგილი ვიდუო კამერების უკან დაიკავა, დარბაზი ფეხზე წამოდგა. მაგრამ ეს არ იყო პატივისცემის გამოხატვა მართლმსაჯულების მიმართ, რომელიც დღეს არსებული ხელისუფლების სურვილების უაქველაციო საშემსრულებლო აპარატად იქცა. ეს იყო პოლიტიკატიმრებისა და გაწამებული

ქართველი ხალხის ურთიერთთანდგომის გამოხატულები უესტი. მოსამართლემ განაჩენის კითხვა დაიწყო. განაჩენის სტილი და შინაარსი საბრალდებო დასკვნის პერიფრაზა გახლდათ. მას არ უსმენდა დარბაზში მყოფი არც ერთი ადამიანი. ერთ-ერთი განსასჯელი შეეცადა მოსამართლისთვის საქმე შეემსუბუქებინა და მას პირდაპირ განაჩენის ფინალურ ნაწილს წაკითხვა შესთავაზა. თუმცა, მოსამართლე იმდენად გართული იყო "მსატრეული კითხვით", რომ განსასჯელის "თავხედური" და "ცინიკური" გამოხედომისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია. განსასჯელებმა წერილები გამოგზავნეს:

"ჩვენო ძვირფასებო, გამხხვედით. ხედავთ, როგორ ეფარებიან პროკურატორები. ვიდუოკამერებს, როგორ იმალეებიან? მოსამართლეს ხელები უკანკალეს, მსაჯულებს ენა ებმით. ეს არის მათი ზნეობრივი მარცხი და უფლისგან მათი განკითხვის მოახლოება... ჩვენო ძვირფასო ქართველო ხალხო, თუ მოვიდომებთ, აუცილებლად გავიმარჯვებთ. ნუ დახრთოთ თქვენს ცრემლიან თვალებს; არამედ ისინი ზეცას აღაყვართ."

ჩამოხველდა. შენობის გარეთ დარჩენილი განაჩენის მომლოდინე გათოშილი ადამიანების გამამხნეველები შეძახილები გაჭირვებით აღწევდა პროექტორებით განათებულ, დამძიმებულ დარბაზს. მოსამართლის ხმა, მონოტონური და ერთფეროვანი, თითქოს უსასრულოდ გაწვივდა წამებდა იქცა. ამ დროს სტუდენტმა გოგონამ 9 აპრილს შეკერილი საქართველოს დროშა გადააწოდა განსასჯელებს, ბადრაგის წინააღმდეგობის მიუხედავად, მათ დროშა ბარიერის

მოაჯირზე გადაიწინეს. ახლა ისინი მარტო აღარ იყვნენ. მოსამართლე განაჩენს ქართული დროშისთვისაც კითხულობდა... დარბაზში ტვერულის ეკლესიის მოძღვარი ლოცულობდა:

მოსამართლე ფინალურ ნაწილს მიუახლოვდა. მას ხმაში მწუხარების ყალბი ნოტები შეეპარა.

ქობალია - სიკვდილით დასჯა ბოკუჩავა - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა

ძიძიგური - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა

მოლოდინაშვილი - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა

ლოთი ქობალიამ ტაში დაუკრა. ლექსი წამოიწყო. "ხალხნო, ნუ გეშინიათ, ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ მაგათ დედას ეუტირებთ - მოისმია ერთ-ერთი განსასჯელის ომახინი შეძახილი. სამოქალაქო ფორმაში გადაცემულმა "სამართალდამცველმა" იქვე დაფენილი დროშის წართმევა სცადა. "დროშას ხელი არ ახლო!" სიკვდილმისჯილმა დროშა გულში ჩაიკრა. დარბაზში ვიდაცამ შევლევო წამოიწყო, ყველა მდებარეობა და ახალი ბოძოლის დაწყების განუზომელი შემართება.

უნენაესი სასამართლოს შენობა უცებ დაპატარავდა და გაქრა. "გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას, გაუმარჯოს ჩვენს წამებულ ვაჟაკებს." და იმ წუთში სივრცე და დრო მარადისობად იქცა, იგი კოსმოსურად შეუერთდა საქართველოს ისტორიის ყველაზე ნათელ და ბედნიერ წამებს, როდესაც ბოროტებაზე გამარჯვების სიხარული იმდენად დიდებულია, რომ მის გვერდით სიკვდილის სიბხლოვეც კი კარგავს ყოველგვარ ემოციურ ძალას.



## ჩვენ სიღვირით ვხვდებით განაჩენს

განაჩენის დღეს შსს-ს მიერმიღებული იქნა განსაკუთრებული ზომები განსაკუთრებით საშიში პოლიტიკატიმრების - ზვიად ძიძიგურის, ვახტანგ ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავასა და ნუგზარ მოლოდინაშვილის დაცვის უზრუნველსაყოფად. ჩოხაში გამოწყობილი განსასჯელების დანახვაზე, შსს-ს პასუხისმგებელ პირებს ელდა ეცათ - როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ქვეყნის დღევანდელ მმართველზე ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ეროვნული მოღვაწეების დანახვა ისევე იმთქმედებდა, როგორც ეშმაკზე პირფარის გადაწვითა და სცადეს იმუღვირით ჩაეცმიათ პოლიტიკატიმრებისთვის სამოქალაქო ტანსაცმელი. მაგრამ ამაოდ. როგორც შემდგომ აღნობა საზოგადოებას ზვიად ძიძიგურმა, პოლიტიკატიმრებს განუცხადებდათ - "ან ჩოხებში გამოვალთ, ან შიშვლებში". დავა-კამათის შემდეგ, ვახტანგ ქობალიას ჩამოართვეს ნაბადი, რამაც დიდად არ დააჩინა მისი შინდისფერი ჩოხის მოხდენილობა.

დილიდანვე თბილისის #1 იზოლატორში შეყვანილი იქნა შინაგანი მიმე სატვირთო მანქანით თან გაჰყვინენ პატიმართა ისედაც მრავალრიცხოვან ესკორტს. ერთი ნაწილი, უხუცაეს სასამართლოში მისვლისთანავე, მის შენობაში განათავსეს, ხოლო მეორე - შენობის გარშემო შექმნილი მრავალჯერადი ალიყის ერთ-ერთი სართული უნდა შეიქმნებოდა ქუჩა კვლავ გადაკეტილი იყო ორივე მხრიდან. შინაგან ჯართან ერთად, აქ ვითარებას აკონტროლებდა მთაწმინდის პოლიციის, შსს ქალაქის სამმართველოსა და სპეცრაზმის ნაწილები, მათი ხელმძღვანელების მეთვალყურეობის ქვეშ. კონსერვაციის სასამართლოსკენ ასასვლელს იცავდა შსს-ს ოფიცერთა შემადგენლობა, რომელსაც სადამოხანს, შეკრებილ და სასამართლოზე გვერდმხვედრილ ხალხთან ერთად, სიბნელეში მოხუცა ყოფნა, ცინიდან განახილებული რუსთაველის პროსპექტის ფონზე, სწორედ ეს უბანი

ხაობას, რომელიც ძველ და ბედნიერ დროს მოგვაგონებდა... განაჩენის კითხვა დამის 10 საათისთვის დასრულდა. პოლიციის ადულდა, დაიძაბა, გაისმა ნაცნობი შემობახება - "ჩაიწვიეთ, გაათავისუფლეთ ქუჩა". ჩაიქროლა რამდენიმე მანქანამ, რომლებიც, ლამის პარტიზანულად, მიიპარებოდნენ დაზარალებულები. შემდეგ კი გამოჩნდნენ პოლიტიკატიმართა ახლობლებიც - ტირილითა და გოდებით. ხალხი შეირხა - ისევ დახვრეტა, ისევ სასიკვდილო განაჩენი...

ვითარება თანდათან დაიძაბა, თუმცა არავის უცდია, როგორც შემდეგ არწმუნებდნენ საზოგადოებას შსს-ს მესვეურნი, არც სასამართლოს შენობისკენ გატარა და მით უფრო, პატიმართა ესკორტებისთვის ხელის შეშლა. ეს შეუძლებელიც იყო, ცინიდან პატიმრები, ჩვეულებრივ, ჭავჭავაძის ქუჩით გაჰყავთ ხოლმე, ხოლო კონსერვატორიასთან შეკრებილი ხალხი რუსთაველის პროსპექტისკენ დაიძრა შექაზილებით - ძირს ჯვალათი შევერდნამე! ძირს სისხლიანი დიქტატორი! თავის უფლება პოლიტიკატიმრებს! ლოთო, ზვიად! ჯამბულ! ნუგზარ - მტკიცედ დადექით ბიჭვო! პოლიციელთა ალყამ რუსთაველის პროსპექტისკენ გადმოინაცვლა და კვლავ წინ აღუდგა ხალხის ნაკადს. ორი სატვირთო მანქანით მოყვანილი შინაგანი ჯარის ყმაწვილებმა და სპეცრაზმელებმა ხელოვნურად ალყაში მოაქციეს შეკრებილები და ნაწილ-ნაწილ უშვებდნენ მათ ამ წრიდან. თუმცა, უნდა ითქვას, რიგითების მხრიდან არც უხეშობას, არც ბილწისმომცველობას ადევნიდნენ არაქონია. სამაგიეროდ, აქტიურობდა უფროსობა: სწორედ აქ, ლადიბის წყლებთან, შსს მთაწმინდის რაიონმმართველოს უფროსმა, ელგუჯა ჯამბურიაშვილმა და ქალაქის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მიხეილ სალამაძემ კლასიკური პოლიციური პროვოკაცია გაითამაშეს - მივარდნენ ერთ-ერთ მამაკაცს, დედა რატომ შემაგინეთ, და დაუპირეს დაკავება. აქ კი უკვე მთაწმინდა არ დააჩინა - ხანგრძლივი გაწვევა-გამოწვევის შედეგად, გამოვლიჯა ხელიდან უდანაშაულო მოქალაქე.

პოლიციელთა გმირობა იმ დღეს ამით არ ამოწურულა. როგორც ჩანს, გახურებულმა სპეცრაზმელებმა რუსთაველის მოედნამდე სდიეს ხალხს და აქ, მეტროსთან, ხელთ იგდეს ტელევიზიის მეორე არხისა და ტელეკომპანია "საქართველოს ხმის" ჟურნალისტები, წიხლებით შეაგდეს თავიანთ სახელოვან "ფორდ" - ში, ხოლო ამ უკანასკნელს თავიც კი არტყემინეს მანქანის კარზე.

მაშ ასე, დასრულდა კიდევ ერთი პოლიტიკური სასამართლო პროცესი. გამოიტანეს კიდევ ერთი სასიკვდილო განაჩენი, მრავალი წლით პატიმრობა მიუსაჯეს ეროვნული ხელისუფლებისა და ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებს. მათ კი ჯალათების თვალწინ ააფრინეს ეროვნული დროშა და სიმღერით შეხვდნენ უსამართლო განაჩენს. და ამ ომახიან "შავლეგოს" შეუერთდა სასამართლო დარბაზსა და მის გარეთ შეკრებილი ხალხის ხმა.

**ჩვენი დამარცხება უშუალოა!**

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა: "სასამართლო" სიტყვებით გაიმორთა პროკურატურის საბრალდებო დასკვნა. თავიდანვე ვაცხადებდით, რომ ჩვენი განაჩენი გამოიტანეს ჩვენი დატვირთვით და სრულად უდმეტი იყო ამ სასამართლო ფარის ჩატარება. ცხრა თვე მხოლოდ იმისთვის იწვალეს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის თვალში ნაცარი შეეყვართ, აქაოდა, სასამართლო გამოძიება ჩავატარეთ.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ, განაჩენს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს არ არის კანონის ძალით დამნაშავე დასჯა. ეს არის უკანონო, მარონეტული ხელისუფლების მიერ ანგარიშის გასწორება მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით მოსული კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ. დღევანდელმა რეჟიმმა ეს განაჩენი საკუთარ თავს გამოუტანა.

ჩვენ, ეროვნული ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს, ასეთი სისხლიანი ანგარიშსწორებით ვერ შეგვაშინებენ. ყველას ვერ დაგვბოკავენ! გუშინდელ დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენი არც გატყევა, არც მოთვინიერება, არც განადგურება შეიძლება. მართალი საქართველო ჩვენიანაა და ჩვენი დამარცხება შეუძლებელია!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ზვიად ძიძიგური

**ჩვენ ამ ბრძოლას მოვიგებთ!**



ხომ ავარიალეთ თავისუფალი საქართველოს დროშა! ჩვენ მაგრად ვართ. უფალმა ასე იხება, რომ ბოლომდე ვიართოთ ამ ეკლიან გზაზე. ეს ჩვენი მოვალეობაა. უფალი გვცდის და ჩვენ ამ ბრძოლას მოვიგებთ კიდევ, უფლის წყალობით.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სამხედრო რწმუნებული, გვარდიის პოლკოვნიკი ჯამბულ ბოკუჩავა

დარბაზიდან გამოსულ ანთებულ და ავარგარებულ მოძმეებს ქუჩაში გათოშილი თანამებრძოლები შეუერთდნენ. ისინი მიდიოდნენ ერთად და თანდათან შორდებოდნენ სასამართლოს შენობას, უცხოვდებოდნენ იმ სამყაროდან, სადაც ღირებულებებს უსამართლოდ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენებით მიღწეული წარმატებები ქმნის და რომლის აღსრულებასაც არა აქვს მომავალი, რადგან ეს განაჩენი არსებულმა რეჟიმმა საკუთარ თავს გამოუტანა.

ქეთევან ქურდოვანიძე

საგანგებოდ იყო ჩაბნელებული. შეკრებილებმა იოლად მონახეს გამოსავალი - მოიტანეს დიდი რაოდენობით სანთლები და მოაწმინდეს ეს პატარა ქუჩა ულამაზესი სანახავი შეიქნა. ვიდაცამ წამოიწყო "შავლეგო", ამას მოჰყვა - "ჩემო კარგო ქვეყანა", "ქართველო ხელი ხმალი იკარ", "დაუკარო, რომ ძველ ხანს ჯაღს ელდა ეცეს", "გაფრინდი შავო მერცხალო"; დაბოლოს, საეკლესიო საგალობლების სათნოებამ მოიცვა სანთლებით განახილებული ქუჩა. პოლიცია, ჟურნალისტები, გამვლელ-გამომგვლი მონუსხული ადენებდა თვალს ამ საოცარ სანა-



ირაკლი დგებუაძე



# განაჩენი გამოტანილია, მაგრამ არაის სჯერა მისი სამართლიანობის

ანა ჭავჭავაძე და ლია ბერუაშვილი, როგორც სამართალდამცავები და ჟურნალისტები, წლების მანძილზე აწარმოებენ დაკვირვებას მიმდინარე პოლიტიკურ სასამართლო პროცესებზე. დღეს ისინი "თავისუფალი საქართველოს" მკითხველისთვის შეაჯამებენ უკანასკნელი პოლიტიკური სასამართლო პროცესის ტენდენციებს და შედეგებს

ანა ჭავჭავაძე - დამთავრდა ცხრათვიანი სასამართლო მართობის განაჩენი გამოტანილია. საზოგადოების ნაწილისთვის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც პროკურორის მოთხოვნა - თბილისი სამი პოლიტიკური სიკვდილი დასჯის შესახებ. დაახლოებით შთაბეჭდილება იქმნება, რომ სასამართლო კოლეგია არ დაემორჩილა პროკურატურის დიქტატს და მეტ-ნაკლებად სამართლიანი ვერდიქტი გამოიტანა.

ლია ბერუაშვილი - ვფიქრობ, ეს განაჩენი არ შეიცავს, თუნდაც ფორმალურად, სამართლიანობის ელემენტსაც კი. უპირველესად იმის გამო, რომ მისი ტექსტი თითქმის ზედმიწევნით იმეორებს საბრალდებო დასკვნას; მასში სრულიად იგნორირებულია სასამართლო ძიების მსვლელობა: თითქოს ამ ცხრა თვის მანძილზე არ დაკითხულა არც ერთი მოწმე და ვინც დაკითხა, ყველამ სიტყვასიტყვით გაიმეორა ბრალდების პოზიცია. ეს ასე არ იყო და ფართო საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა პრესის საშუალებით დარწმუნებულიყო ამის შესახებ. თვით პროკურატურის მხრიდან მოწვეული მოწმეები ჩვენებებში ან მთლიანად უარყოფილია, ან ეჭვქვეშ არის დაყენებული ბრალდების ვერსია.

ანა ჭავჭავაძე - რაც შემთხვევაში მოწმეები აცხადებდნენ, რომ ჩვენება გამოძიებულმა დაწერა და თვითონ წაუკითხავდა მოაწერეს ხელი; რომ დაკავებული იყვნენ როგორც ზვიადისტიები და იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ; რომ ჩვენებაში შეცვლილია ფორმული ნაწილები და ა.შ.

ლია ბერუაშვილი - სწორედ ამიტომ, განაჩენის მეტ-ნაკლებად სამართლიანობაზე საუბარიც ზედმეტია: განა ლოთი ქობალიას დაუმტკიცა ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენა?! ან ჯამბულ ბოკუჩავამ რა ჩადინა ისეთი, 15 წლით პატიმრობა რომ მიესაჯა?! ან ზვიად ძიძიურმა და ანუზაძემ მთლიანად შეიღმა რითი დაიმსახურეს 13 და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა?!

სასამართლოს განაჩენში ხაზგასმულია ბრალდების სწორედ ის მომენტები, რომლებიც საერთოდ არ ყოფილა გამოძიებული პროცესის მსვლელობისას. კერძოდ, განაჩენში რატომდაც აისახა ნუგზარ მთლიანად შეიღმა მიმართ 1992 წლის მაისში ადრული საქმის მასალები, რომელთა თანახმად, მთლიანად შეიღმა თითქოსდა მონაწილეობას დებულადა აღამიანთა წამებაში უზენაესი საბჭოს სარდაფში. ნიშანდობლივია, რომ ამ საქმის ძიება 1992 წლის აგვისტოს მანიფესტით შეწყვეტილი იქნა, მასზე სასამართლო გადაწყვეტილება არ მიღებულა და არც ამ პროცესზე გამხდარა მსჯელობის საგანი. განაჩენში კი აქცენტირებულია ეს მომენტი და ისიც უმაღლესი ატაცებული ოფიციალური ტელეარხების მიერ. უკვე ამითაც ჩანს, რომ სასამართლო ხელმძღვანელებს არა იურიდიული ნორმებით, არამედ ხელისუფლებისთვის სასურველი, წმინდა პროპაგანდისტული ხრიკებით.

ანა ჭავჭავაძე - ასეთივე ხრიკია სასამართლოს მხრიდან ჟურნალისტ ბოლქვაძისა და სხვათა დახვეწაში ქობალიას ბრალდებულობის ცნობა: აქაოდა, მოხდა საუკუნის დანაშაული - დახვეწიეს ჟურნალისტი. სასამართლოზე კი ამის დამაჯერებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ იქნა. მაგრამ სასამართლომ ეს არად ჩააგდო, ხოლო იმ მოწმეების მიმართ, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მკვლელობა ქობალიას არ ჩაუდგინა, სარჩელიც კი აღძრა ცრუჩვენების ბრალდებით. ასე რომ, რეჟიმი მოწმეების დაშინების ახალ

კამპანიას იწყებს და მომავალი სასამართლო პროცესებისთვის იზღვევს თავს.

იგივეს თქმა შეიძლება ზვიად ძიძიურის მიმართ გამოტანილი ვერდიქტის შესახებ: არც წინასწარ ძიებაში, არც სასამართლო ძიებისას არც ერთ მოწმეს არ დაუდასტურებია, რომ ზვიად ძიძიურის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ხონსა და სამტრედიის შეჭრა, შენობების ნგრევა, ძარცვა, მკვლელობები. თვით საბრალდებო დასკვნაშიც კი, ეს ეპიზოდები ზოგად, დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, ასე ვთქვათ, პროკურატურის მონოლოგად აღიქმება. იგივე ითქმის ჯამბულ ბოკუჩავას მიმართ წარდგენილ ბრალდებებზე - ისინიც ზოგადია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ იმაზეც კი არ შეიწუხა თავი, მიეთითებინა, თუ რა მტკიცებულებებს ეყ-

## ეს რეალობა მთელმა ერმა უნდა შეცვალოს

ჩვენ ვერ დაგვანგრევს, ვერ გაგვტყუებს ციხის კედლები. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რაც ჩვენი სამშობლოს თავს ხდება. არ შემიძლია შევიქმნა ვარდისფერი ილუზორი. არა, არ მჯერა სწრაფი გარდატეხის. არა იმიტომ, რომ მტარავალს შევდომები არ მოხდის. მოსდის და საკმაოდ უხეში, საბედისწერო შეცდომებიც. მაგრამ არ ჩანს ამ შეცდომების, ამ სიტუაციის გამოყენებული საზოგადოება და კარგა ხანს არც გამოიხილება. ეს არის მტარავალის არსებობის ძირითადი, უმთავრესი გარანტია.

ჩვენი სამშობლო არ აღმოჩნდა მზად ბედნიერებისთვის, ამიტომაც გრძელდება ეს გრძელვადიანი, პარადირებული ტანჯვა და ტანჯვის აღმქმელიც კი არ არსებობს. იტანჯებიან ცაკეული ინდივიდები, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. ამ ინდივიდების აზრით, იტანჯება ერთ მთლიანად, მაგრამ თვით მთელი ერის აზრით, ეს ტანჯვა ასატანია. სანამ ეს ასე იქნება, არ შეიძლება გვექონდეს გარდატეხის იმედი.

შე არ ვიცი, სინამდვილეში რამდენ ხანს მომიწევს ამ ჯურღმულში ჯდომა, არც აქვს ამას მნიშვნელობა. მთელი ჩვენი სამშობლო ჯურღმულშია. არც ის ვიცი, გამოვალ თუ არა ამ ჯურღმულიდან. ის კი არა, ჩვენი სამშობლოს ჯურღმულიდან გამოსვლაც დღით დღე უნდა უფრო საეჭვო ხდება.

ეს არის დღევანდელი რეალობა და მე არ მჯერა ამ რეალობის სწრაფი შეცვლისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩვენი ძაღლებში დაუჭვებას. ეს უბრალოდ რეალობაა, რომელსაც ცალკეული, თუნდაც ძალიან კარგი, პატიოსანი, მებრძოლი ადამიანები ვერ შეცვლიან. ეს რეალობა მთელმა ერმა უნდა შეცვალოს; იქნა ეს უნდა ენატრებოდეს, უნდა ოცნებობდეს ამაზე. სწორედ ეს უნდა გააკეთონ ინდივიდებმა - ერს უნდა მონადირეობის თავისუფლება, უნდა აღუდგინონ ღირსების გრძნობა, სიყვარულით უნდა გაულობონ გაყვნილი გულები, თავისივე თავისთვის, დაავიწყონ საკუთარი მე და შეყვარონ - ჩვენ, ჩვენ, ჩვენ...

მე ყოველთვის ვიბრძობები, სანამ ცოცხალი ვარ. არ მინდა მხოლოდ წიგნებში იხსნენ სავეარდელი ქართველები - იოთამ ზედგინძე, საჩინო ბარათაშვილი, ცოტნე, დავითი... ამიტომ განუწყვეტლივ ვეძებ მათ ჩემს ირგვლივ, ცოცხლებში და ზოგჯერ გამოაშუქებენ კიდევ. ამიტომ მიყვარს ეს ხალხი და ამიტომ მიმანია, რომ ბოროტი ჯადოქრის მიერ არიან მოჯადოებული. ბრძოლით, თავგანწირვით, სიყვარულით უნდა აეხსნათ ეს შეუღებო.

აი, როდესაც ეს მოხდება, მაშინ დაინგრევა ქაჯეთის ციხე, მაშინ ბოროტი ჯადოქრის მიერ ქონდრისკაცებად ქცეული გოლიანთები თვალებს მოიფშენებენ და, სანთლებით ხელში, რუსთაველზე დასჭექენ "შავ-ლევოს" და "ჩემო კარგო ქვეყანას"...

ასეც იქნება, მხოლოდ მალე არა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მთლიანაშვილი

რდნობა მისი ვერდიქტი.

ეს ზოგადად დამახასიათებელია იმ პოლიტიკური პროცესებისთვის, რომლებიც ამ ბოლო წლებში ჩატარდა კანონიერი ხელი-სუფლების მომხრეთა მიმართ. გახსოვთ, ალბათ, ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების საქმის წარმართველი მოსამართლის, მირზა დლიძის შეფასება: "სასამართლომ აირჩია ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა ბრალდებას". ეს უნებლიეთ შეთხზული ფორმულა უთუოდ უნივერსალურია და ზუსტად ახასიათებს საქართველოში არსებულ სასამართლო პრაქტიკას.

ლია ბერუაშვილი - ამ საქმის თავისებურ-

ებას განსაზღვრავდა ისიც, რომ ამჯერად განსახველთა სკამზე იხსნენ კანონიერი ხელი-სუფლების სამხედრო, აღმასრულებელი და პოლიტიკური შტოს უმაღლესი პირები და ეს უკვე იწყებდა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფართო ინტერესს.

